



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 105

2021 წლის 23 ივლისი

ქ. თბილისი

2021 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და
საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის
სამეცნიერო კვლევისათვის გამოცხადების შესახებ

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ
არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო
კვლევისათვის“ დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის
29 ივლისის N129/5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების და „საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/5 ბრძანებით დამტკიცებული
წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა
რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და
პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი
სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N733478, 22.07.2021) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2021 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსი - სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის (შემდგომში - კონკურსი).
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსზე წარსადგენი საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიის - CV-ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

100820

6. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქის თანხმობის წერილის - Letter of commitment - ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

11. დამტკიცდეს „თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

12. დამტკიცდეს „განცხდება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;

13. დამტკიცდეს საგრანტო პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;

14. დამტკიცდეს სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისთვის სამეცნიერო მიმართულებების კასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;

15. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტები თორნიკე სხირტლაძე და ანა კობერიძე (ფინანსური კუთხით);

16. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

17. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

18. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

**2021 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის
„სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული
მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“
პირობები**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის“ (შემდგომში – კონკურსი) მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალის, ეთნოგრაფიული მონაცემების მოძიებას, აღრიცხვასა და სისტემატიზაციას, მათ მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლას, ქართველი ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაციას და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვას ამ სამეცნიერო დარგში.
2. კონკურსი აფინანსებს საქართველოში ან/და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის შემსწავლელ სამეცნიერო კვლევებს.
3. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გრანტი გაიცემა ღია, საჯარო კონკურსის საფუძველზე.
4. კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის №129/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.
5. კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია მეცნიერების ყველა მიმართულებასა და დისციპლინაში, რომელიც განსაზღვრულია ამ ბრძანების №12 დანართში.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. საგრანტო კონკურსში პროექტის დარეგისტრირება და განხორციელება შეუძლია ერთ ან რამდენიმე ორგანიზაციას პროექტის ძირითად პერსონალთან ერთად.
2. პროექტს უნდა ჰყავდეს **წამყვანი ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ), რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ). წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ძირითად პერსონალს პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახდენს პროექტის განხორციელების შესახებ ანგარიშგებას ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისაგან განცალკევებით აწარმოებს პროექტის ბუღალტრულ აღრიცხვას, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს; წამყვანი ორგანიზაცია პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე.
3. ერთობლივი პროექტის შემთხვევაში პროექტს უნდა ჰყავდეს **თანამონაწილე ორგანიზაცია/ები** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ), რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების

განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ). თანამონაწილე ორგანიზაცია წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს ძირითად პერსონალს პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისაგან განცალკევებით აწარმოებს პროექტის ბუღალტრულ აღრიცხვას და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს.

4. თანამონაწილე ორგანიზაცია შეიძლება იყოს საზღვარგარეთ რეგისტრირებული საჯარო და/ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობა. პროექტის გარკვეული ამოცანების შესრულებაში მონაწილე საზღვარგარეთ რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაცია არ შეიძლება იყოს საგრანტო დაფინანსების მიმღები და მისი ხარჯების ანაზღაურება უნდა მოხდეს უცხოური თანადაფინანსებიდან.

5. **ძირითადი პერსონალი** - პროექტის ხელმძღვანელის, პროექტის თანახელმძღვანელის (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში), კოორდინატორისა და სხვა მკვლევრების სტატუსით ჩართული ფიზიკური პირები; ძირითადი პერსონალი პასუხისმგებელია პროექტის ძირითადი ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელებაზე. ძირითადი პერსონალის სტატუსით პროექტში შეიძლება იყოს ჩართული დოქტორის, მაგისტრის, ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტურის, მაგისტრანტურის ან რეზიდენტურის სტუდენტი.

6. ძირითადი პერსონალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) **პროექტის ხელმძღვანელი** – დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც პროექტის მიმდინარეობის პერიოდში კვლევას განახორციელებს წამყვანი ორგანიზაციის სახელით და/ან წამყვანი ორგანიზაციის ბაზაზე. იგი ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებულ კვლევას, პასუხისმგებელია პროექტის სამეცნიერო შედეგებზე და პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ ანგარიშგებაზე;

ბ) **პროექტის თანახელმძღვანელი** (ერთობლივი პროექტების შემთხვევაში) – საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც წარმოადგენს თანამონაწილე ორგანიზაციას და პროექტის ხელმძღვანელთან ერთად მონაწილეობს საპროექტო წინადადების მომზადებასა და განხორციელებაში;

გ) **პროექტის კოორდინატორი** – პროექტის საორგანიზაციო საკითხებზე პასუხისმგებელი საქართველოს მოქალაქე, რომელიც მონაწილეობს პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში;

დ) **მკვლევარი** – პროექტით გათვალისწინებული კვლევის განხორციელებისათვის შესაბამისი გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მეცნიერი;

ე) **ახალგაზრდა მეცნიერი** – მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადებამდე 7 წლის პერიოდში; ასევე დოქტორანტურის, მაგისტრანტურის და/ან რეზიდენტურის სტუდენტი.

7. სავალდებულოა, მინიმუმ ერთი **ახალგაზრდა მეცნიერის** ძირითად პერსონალის სტატუსით ჩართულობა პროექტის განხორციელების სრული პერიოდის განმავლობაში. დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ახალგაზრდა მეცნიერი შესაძლოა მონაწილეობდეს პროექტში პროექტის ხელმძღვანელის ან თანახელმძღვანელის (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) სტატუსით.

8. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **დამხმარე პერსონალი**, საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირ(ებ)ი, რომელიც ეხმარება ძირითად პერსონალს ტექნიკური ამოცანების გადაჭრაში. დაუშვებელია დამხმარე პერსონალმა შეასრულოს ძირითადი პერსონალის ფუნქციები (მაგალითად, ძირითადი პერსონალისაგან დამოუკიდებლად წარადგინოს პრეზენტაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე, განახორციელოს კვლევითი ვიზიტი საზღვარგარეთ, კვლევის მასალებზე დარყრდნობით გამოაქვეყნოს სტატია ან/და მონოგრაფია პროექტის ძირითადი პერსონალის თანაავტორობის გარეშე).

9. შესაძლებელია პროექტში **კონსულტანტის** სტატუსით ჩართული იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემატიკაზე და კონსულტაციას გაუწევენ ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული კვლევის ფარგლებში. კონსულტანტი არ შეიძლება იყოს პროექტის ძირითადი პერსონალი/გრანტის მიმღები.

10. პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სტატუსით ერთსა და იმავე პირს მიმდინარე კონკურსზე შეუძლია დაარეგისტროს მხოლოდ ერთი პროექტი.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 24 ან 36 თვე. საანგარიშო პერიოდი უნდა შეადგენდეს 12 თვეს.
2. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 100 000 ლარს საზღვარგარეთ განხორციელებული კვლევითი პროექტისათვის და 70 000 ლარს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული კვლევითი პროექტისათვის.
3. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:
 - ა) პროექტის ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
 - ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
 - ბ) მივლინება;
 - გ) საქონელი და მომსახურება;
 - დ) არაფინანსური აქტივები;
 - ე) ზედნადები ხარჯები – პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 5%-ს.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯვითი კატეგორიები დეტალურად განისაზღვრება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული კლასიფიკატორით (დანართი 11).
5. პროექტის ბიუჯეტის დაგეგმვისას რეკომენდებულია შემდეგი პირობების გათვალისწინება:
 - ა) საქონელი და მომსახურების კატეგორიაში შემავალი „ოფისის ხარჯებისა“ და „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ქვეკატეგორიის არჩევისას პროექტით დაგეგმილი ყველა შესასყიდი საქონელი და მომსახურება ბიუჯეტში მონიშნული უნდა იყოს ცალ-ცალკე. ამასთანავე, პროექტის ბიუჯეტში:
 - ა.ა) მონიშნული უნდა იყოს პროექტით დაგეგმილი ყველა ის შესასყიდი საქონელი და მომსახურება ცალ-ცალკე, რომელიც წარმოდგენს ოფისის ხარჯების ქვეკატეგორიაში შემავალ „მცირეფასიან საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების/დემონტაჟის“ ხარჯებს ან/და „საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებს“.
 - ა.ბ) აღწერილი უნდა იყოს პროექტით დაგეგმილი ყველა ის შესასყიდი საქონელი და მომსახურება, რომელიც დაიგეგმა ქვეკატეგორიებში „სხვა ოფისის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის განხორციელებასთან“ ან/და „სხვა დანარჩენი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის განხორციელებასთან“, ვინაიდან ასეთი ხარჯები არ არის გათვალისწინებული და არ კლასიფიცირდება საბიუჯეტო კლასიფიკატორის სხვა ქვეკატეგორიებით.
 - ა.გ) გრანტის სახსრებით შესაძლებელია პროექტში ჩართული იყოს უცხოეთის მოქალაქე კონსულტანტი, რომლის ჰონორარი შესაძლოა გათვალისწინებული იყოს პროექტის ბიუჯეტის „სხვა საქონელი და მომსახურების“ კატეგორიაში.
 - ა.დ) პროექტის ბიუჯეტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს კვლევის მასალებზე დაყრდნობით მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემაში.
 - ბ) ზედნადები ხარჯები - წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 5%-ს. გრანტის მიმღები წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია უფლებამოსილია „ზედნადები ხარჯების“ კატეგორიით გათვალისწინებული თანხა გამოიყენოს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისა და შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსებისათვის.

6. გრანტის სახსრებით დაუშვებელია: უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანისა და მობილური ტელეფონის შეძენა.
7. გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება პროექტის დასრულების შემდეგ საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ იურიდიულ და ფიზიკურ პირ(ებ)ს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8. პროექტს შესაძლებელია ჰქონდეს თანადაფინანსება (დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა) ან ითვალისწინებდეს თანხების მოზიდვას უცხოური სამეცნიერო ფონდებიდან ან სხვა დონორი ორგანიზაციებიდან, რომელიც მიმართული იქნება კვლევითი პროექტის განსახორციელებლად. თანადაფინანსება გულისხმობს პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ნაწილობრივ დაფინანსებას.
9. პროექტის თანადამფინანსებელი შეიძლება იყოს საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც ნაწილობრივ აფინანსებს პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრულ ხარჯებს. უცხოური თანადაფინანსების შემთავებაში თანადაფინანსება შეეხება უცხოური თანამონაწილე ორგანიზაციის ხარჯების ანაზღაურებას.
11. თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.
12. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

- ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი №2 - ნიმუში, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);
- ბ) საპროექტო წინადადება ქართულ ენაზე (დანართი №3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);
- გ) პროექტის ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები (CV-ები) ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ რეგისტრაციის დროს. სავალდებულოა, CV-ები წარმოდგენილი იყოს ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის შემთხვევაში სავალდებულოა, „მეცნიერის პროფილი“ შევსებული იყოს ინგლისურ ენაზე. ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილიდან“ CV-ები დაგენერირდება ბაზაში, ექსპორტირდება და PDF დოკუმენტის სახით იტვირთება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას ხელმძღვანელის მიერ (დანართი №4 - ნიმუში). უცხოელი ძირითადი პერსონალის ინგლისური CV-ების ქართულად თარგმნაზე, ორიგინალთან გაერთიანებასა და პროექტის რეგისტრაციისას მათ წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.
- დ) უცხოელი კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფია - CV ინგლისურ ენაზე და მისი ქართული თარგმანი იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით პროექტის ხელმძღვანელის მიერ;
- ე) უცხოელი კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობის შესახებ დამოწმებული ხელმოწერით და მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (დანართი №5 - იტვირთება GMUS -ში PDF დოკუმენტის სახით);
- ვ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი №6 - ნიმუში, ივსება GMUS-ში);
- ზ) პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (დანართი №7 - ნიმუში, ივსება GMUS-ში);
- თ) საზღვარგარეთ რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი პროექტში თანამონაწილეობის შესახებ - Letter of Institutional Commitment. თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე ორგანიზაციის ოფიციალურ სატიტულო

ფურცელზე, დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით, ნათარგმნი ქართულად და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება GMUS -ში PDF დოკუმენტის სახით);

თ) **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის, ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული და სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.

თ.ა) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი №8-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია წარმოდგენილი იყოს ასევე მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

თ.ბ) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი №8-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია ასევე წარმოდგენილი იყოს მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ი) **სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ თანხმობის წერილი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში). წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი №9-ის ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

კ) **პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის** (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში), სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და უსდ-ს შემთხვევაში ასევე საჭიროა 2021 წელს გაცემული ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრიდან. საზღვარგარეთ რეგისტრირებული ან საერთაშორისო ორგანიზაციის შემთხვევაში სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა არ არის სავალდებულო. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი „ორგანიზაციის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით;

ლ) **პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები** (დიპლომი, სერტიფიკატი, დოქტორანტის/ მაგისტრანტის/რეზიდენტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს უნდა ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით, რომელშიც ის მოღვაწეობს. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი №10 - ნიმუში, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ხელმოწერილი ორიგინალი

და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე;

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:
 - ა) წამყვანი და საქართველოში რეგისტრირებული თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;
 - ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და საქართველოში რეგისტრირებულ თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;
 - გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.
4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.
5. **პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.**

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:
 - ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია – 2021 წლის 23 ივლისიდან 27 სექტემბრის 16:00 საათამდე;
 - ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა ფონდის კანცელარიაში - 2021 წლის 4 ოქტომბრის 16:00 საათამდე.
2. **ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: <http://gmus.rustaveli.org.ge>. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:
 - ა) პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რეგისტრაცია GMUS-ში – „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა.
 - ბ) სავალდებულოა, პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა. სავალდებულოა პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული საქართველოს მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი“ შევსებული იყოს ქართულ ენაზე, ხოლო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი“ - ინგლისურ ენაზე. „მეცნიერის პროფილის“ შევსება ორივე ენაზე ნებაყოფლობითია.
 - გ) პროექტის რეგისტრაცია ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე, კრეხისთი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა შესაბამის ველებში (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი).
3. **ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის განრიგი და ვადები:

- ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;
- ბ) პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია;
- გ) ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა;
- დ) კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა;
- ე) შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ;
- ვ) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების წარდგენა საკონკურსო კომისიისათვის, განხილვა, შეფასება, ერთიანი რანჟირებული სიის შედგენა და გამარჯვებულთა გამოვლენა;
- ზ) საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლენილი გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
- თ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;
- ი) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება გრანტის მიმღებ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

2. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

3. ფონდი უფლებამოსილია, საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ:

- ა) არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის №129/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;
- ბ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის №129/ნ ბრძანების პირველი დანართის მე-9 მუხლით დადგენილი წესებითა და ამავე ბრძანების დანართი №2-ით დამტკიცებული „პროექტის შეფასების კრიტერიუმებით“.

2. საკონკურსო კომისიას (შემდგომში - კომისია) ქმნის, კომისიის სხდომას იწვევს და კომისიის მუშაობის წესს განსაზღვრავს გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

3. კომისია განიხილავს კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებს, აფასებს მათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის №129/ნ ბრძანების დანართი №2-ით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, ადგენს რანჟირებულ სიას, გამოავლენს საუკეთესო პროექტ(ებ)ს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდის გენერალური დირექტორს.

4. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი.

5. მოწვეულ ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

6. დაუშვებელია კომისიის წევრი ან/და ექსპერტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იყოს პირი, რომელმაც შესაძლოა მიიღოს უშუალო ფინანსური ან სხვა სახის პირადი სარგებელი პროექტის დაფინანსების ან დაუფინანსებლობის შემთხვევაში, ასევე პირი:

- ა) რომელიც არის ამავე საგრანტო კონკურსის მონაწილე;
- ბ) რომელიც არის დაინტერესებული მხარე – პროექტში მონაწილე ან მონაწილის ნათესავი.

7. სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის“ პირობების თანახმად ნათესავად ჩაითვლება:

- ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
- დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

8. კომისიის წევრი ან/და ექსპერტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვალდებულია კომისიას და ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ინტერესთა კონფლიქტის და თვითაცილების შესახებ.

9. კომისიის წევრი ან/და ექსპერტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილია, განაცხადოს თვითაცილების შესახებ, თუ თვლის, რომ იგი ვერ იქნება ობიექტური, რადგან შესაფასებელი პროექტი უწევს კონკურენციას მის სამეცნიერო მოღვაწეობას ან მან შეიძლება ნახოს პირადი სამეცნიერო სარგებელი ამ პროექტის შეფასებით.

10. თუ ინტერესთა კონფლიქტის ფაქტი ფონდისათვის ცნობილი გახდება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს საკონკურსო კომისიის წევრის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

11. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს კონკურსის შედეგების გამოცხადებასა და კონკურსში მონაწილეთათვის შეფასებების გაცნობას.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას გრანტის მიმღებთან და საქართველოში რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციასთან (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში), რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა დეტალური პირობები.

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

3. საგრანტო ხელშეკრულება ფორმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის“ დებულებით“ განსაზღვრული წესების დაცვით.

4. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, საგრანტო თანხა გადარიცხება 30 კალენდარული დღის ვადაში საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით: 24 თვიანი პროექტის შემთხვევაში - 2 ტრანშად, ხოლო 36 თვიანი პროექტებისათვის - 3 ტრანშად. პირველ ტრანშს ფონდი გადარიცხავს ავანსის სახით ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ყოველი მომდევნო ტრანშში გადარიცხება გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი შესაბამისი საანგარიშო პერიოდის შუალედური ანგარიშის განხილვის აქტის საფუძველზე. ტრანშების გადარიცხვა მოხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის N129/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით.

5. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ფონდი გადარიცხავს ტრანშს შესაბამისი პერიოდისთვის გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში პროექტი შეჩერდება.

6. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.
7. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხის გაზრდის გარეშე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება. საანგარიშო წლის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები დასაშვებია მიმდინარე წლისათვის პროექტის განსახორციელებლად მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების საერთო ოდენობის 20%-ის ფარგლებში.

მუხლი 9. ანგარიშგება და მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად წარადგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.
2. ფონდი ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის N129/ნ ბრძანების მე-11 მუხლით განსაზღვრული წესების დაცვით, რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.
3. მონიტორინგის მიზნებისათვის, გრანტის მიმღების მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.
4. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
- ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
 - ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას „პროექტით განსაზღვრული კვლევის შედეგების ამსახველი მასალის“ შესაბამისად. პროგრამული მონიტორინგი ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას, როგორცაა საგრანტო პროექტის განხორციელების დამადასტურებელი პროგრამული ანგარიში და განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი ნაბეჭდი, ფოტო/აუდიო/ვიდეო და ელექტრონული დოკუმენტაცია.
 - გ) ფონდი უფლებამოსილია პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.
5. მონიტორინგის განხორციელების დროს ზედნადები ხარჯები სრულად აღიარდება ხარჯად გრანტის მიმღებისთვის, გრანტის ჩარიცხვის ფაქტის დადასტურებით (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში შესრულებული გადარიცხვა). გრანტის მიმღები წამყვანი ან თანამონაწილე ორგანიზაცია უფლებამოსილია, „ზედნადები ხარჯების“ კატეგორიით გათვალისწინებული თანხა გამოიყენოს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისთვის და შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსებისათვის.
6. ფონდი არ არის ვალდებული განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე მონიტორინგი, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.
7. შუალედური და საბოლოო ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების

გონივრული ვადა. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნილი ცვლილება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანების შესრულებასთან.

8. პროექტის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ 10 კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის ხანგრძლივობის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელების შესახებ დამატებითი დაფინანსების გარეშე.

9. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი შუალედური და საბოლოო ანგარიშების შემოწმების საფუძველზე მომზადებული განხილვის აქტები ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ მომავალ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

7. ფონდი უფლებამოსილია, აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის №129/ნ ბრძანების მე-12 მუხლში განსაზღვრული წესითა და საგრანტო ხელშეკრულებით.

2. გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა, გრანტის მიმღები ვალდებულია შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს არამიზნობრივად დახარჯული თანხა და აუთვისებელი ნაშთი.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გამარჯვებული პროექტის მიმართ

1. პროექტს უნდა ჰქონდეს აკრონიმი.

2. პროექტის განხორციელების შედეგად საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის შესახებ სამეცნიერო კვლევით მიღებული ახალი ცოდნა ხელმისაწვდომი უნდა იყოს „ნებისმიერი ადამიანისათვის, ნებისმიერი ადგილიდან, ნებისმიერ დროს“.

3. გრანტის მიმღები ვალდებულია, შექმნას და ადმინისტრირება გაუწიოს პროექტის ვებგვერდს (webpage) სადაც ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია პროექტში ჩართული მეცნიერების, მათი კვლევებისა და პროექტის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის შესახებ. ვებგვერდის შექმნა და ადმინისტრირება არ ფინანსდება საგრანტო სახსრებით.

4. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ჟურნალები, წიგნები და საკონფერენციო კრებულები, რომლებიც ინდექსირებულია: Scimago Journal Ranking და Impact Factor რეიტინგებში ან/და Elsevier (Scopus და Science Direct) Web of Science, ERIH plus ბაზებში.

5. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების ამსახველი მონოგრაფია დამტკიცებული უნდა იყოს წამყვანი ორგანიზაციის დარგობრივი სარედაქციო/საგამომცემლო/სამეცნიერო/აკადემიური საბჭოს, ან მასთან გათანაბრებული სტრუქტურის მიერ.

6. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და სხვა ბეჭდვითი პროდუქცია) სავალდებულოა შემდეგი ჩანაწერი: „კვლევა [გრანტის ნომერი ...] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით“/ „This research [grant number ...] has been supported by Shota

Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)“. ასეთი ჩანაწერის გარეშე გამოქვეყნებული პუბლიკაცია ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას არ განიხილება. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

7. პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ მასალაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგოს განთავსება და ჩანაწერი: „კვლევა [გრანტის ნომერი ...] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით“/ „This research [grant number ...] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)“.

8. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)

პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

Cover Page

I გვერდი

ზოგადი ინფორმაცია

General Information

ზოგადი ინფორმაცია

1.	პროექტის აკრონიმი	
	Project Acronym	
2.	კვლევის განხორციელების ადგილი	☐ საქართველო ☐ საზღვარგარეთ
	Research implementation place	☐ Georgia ☐ Abroad
3.	კვლევის განხორციელების ადგილი (ქვეყანა, რეგიონი, ქალაქი და ა.შ.)	
	Research implementation place (country, region, city etc.)	
4.	პროექტის სახელწოდება ქართულად	
	Project title in English	
5.	პროექტის ხანგრძლივობა (წლები)	☐ 2 ☐ 3
6.	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
7.	თანადაფინანსების თანხა (ლარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
ამ კატეგორიაში გაერთიანებულ მცენარეებს განეკუთვნებიან: ხეები, ვენახები და ბუჩქნარები, რომლებიც კულტივირდება ხილის, თხილის, ფისისა და მერქნის მოსაყვანად და სხვა.

ამასთან, თუ აღნიშნული მცენარეები და ცხოველები ერთჯერადი გამოყენებისაა, როგორცაა წინასწარ განსაზღვრული დასაკლავი საქონელი და შეშად გამოსაყენებელი ხეები, აღნიშნული არ კლასიფიცირდება, როგორც ძირითადი აქტივები.

5.1.4 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს, ისეთი ტიპის ობიექტებს, რომლებიც წარმოებაში ერთ წელზე მეტი ხნით გამოიყენება და მათი მომხმარებელია მხოლოდ მათზე საკუთრების ან ლიცენზიის მქონე სუბიექტი. აღნიშნულ კატეგორიას განეკუთვნება:

- კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული ითვალისწინებს პროგრამებს, მათ აღწერილობებსა და დამხმარე მასალებს როგორც სისტემური, ასევე გამოყენებითი პროგრამებისთვის, რომელთა მოხმარებაც ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით არის მოსალოდნელი; აღნიშნული ასევე მოიცავს ფართო მონაცემთა ბაზის შემუშავებას ან შესყიდვას;
- სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, როგორცაა: ფილმები, ხმის ჩანაწერები, ხელნაწერები, მუსიკალური ნაწარმოები, სპორტული მოვლენები, ლიტერატურისა თუ ხელოვნების ნაწარმოებები და სხვა.

5.2 არაწარმოებული აქტივები

აღნიშნული კატეგორია ასევე მოიცავს საზოგადოებრივი მოწყობისათვის განკუთვნილ პროდუქტებს, რომლებიც ეფუძნება სამართლებრივ ან საბუღალტრო ქმედებებს. ზოგიერთი ასეთი აქტივი მფლობელს უფლებას აძლევს წარმართოს ესა თუ ის კონკრეტული სახის საქმიანობა, ან აწარმოოს კონკრეტული სახის საქონელი ან მომსახურება და, ამასთან, სხვა ერთეულებს აუკრძალოს მსგავსი საქმიანობის წარმართვა მესაკუთრის ნებართვის გარეშე. სხვა არამატერიალური აქტივები მოიცავენ დაპატენტების ობიექტებს.

პატენტები უზრუნველყოფენ გამოგონებების დაცვას სამართლებრივად ან სასამართლო გადაწყვეტილებებით. დასაცავი გამოგონებების მაგალითებია: ნივთიერებათა შემადგენლობები, პროცესები, ელექტრონული და ელექტროსქემები, მოწყობილობები, ფარმაცევტული შემადგენლობანი და ხელოვნურად შექმნილი ცოცხალი ორგანიზმების ახალი სახეები.

შენიშვნა: გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანისა და მობილური ტელეფონის შეძენა.

6. ზედნადები ხარჯები

ზედნადები ხარჯები გულისხმობს პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ გასაწევ არაპირდაპირ ხარჯებს, რომელიც მოიცავს:

- კავშირგაბმულობის ხარჯებს, როგორიცაა შიდასაქალაქო სატელეფონო მომსახურების, საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურების, მობილური ტელეფონის, სატელევიზიო არხებით სარგებლობის, ინტერნეტით სარგებლობის, სპეციალური კავშირის და კავშირგაბმულობასთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი ხარჯები;
- კომუნალურ ხარჯებს, როგორიცაა ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი და თხევადი აირის, კანალიზაციისა და ასინილიზაციის, გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის, ასევე გენერატორის საწვავის შეძენის, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯებს;
- შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებს;
- შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯებს;
- ტექნიკურ და შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სახანძრო დაცვის მომსახურების ხარჯებს;
- შენობის პასპორტიზაციასთან და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- ტენდერის ხარჯებს;
- პროექტის განხორციელებასთან და მის ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვა არაპირდაპირ ხარჯებს;
- წამყვანი ან თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ სამეცნიერო-კვლევითი შიდა მიზნობრივი დაფინანსებისათვის გასაწევ ხარჯებს.

„სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“

სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი

(მომზადებულია ევროპული კვლევების საბჭოს სამეცნიერო კლასიფიკატორის მიხედვით)

1. ზუსტი მეცნიერებები და ინჟინერია

1.1. მათემატიკა

თეორიული და გამოყენებითი მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებების მათემატიკური საფუძვლები, მათემატიკური ფიზიკა და სტატისტიკა.

- 1.1.1 ლოგიკა და მათემატიკის საფუძვლები
- 1.1.2 ალგებრა
- 1.1.3 რიცხვთა თეორია
- 1.1.4 ალგებრული და კომპლექსური გეომეტრია
- 1.1.5 ლის ჯგუფები, ლის ალგებრები
- 1.1.6 გეომეტრია და გლობალური ანალიზი
- 1.1.7 ტოპოლოგია
- 1.1.8 მათემატიკური ანალიზი
- 1.1.9 ოპერატორთა ალგებრა და ფუნქციონალური ანალიზი
- 1.1.10 ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები და დინამიკური სისტემები
- 1.1.11 კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების თეორიული ასპექტები
- 1.1.12 მათემატიკური ფიზიკა
- 1.1.13 ალბათობა
- 1.1.14 სტატისტიკა
- 1.1.15 დისკრეტული მათემატიკა და კომბინატორიკა
- 1.1.16 კომპიუტერულ მეცნიერებათა მათემატიკური ასპექტები
- 1.1.17 რიცხვითი ანალიზი
- 1.1.18 სამეცნიერო გამოთვლები და მონაცემთა დამუშავება
- 1.1.19 მართვის თეორია და ოპტიმიზაცია
- 1.1.20 მათემატიკის გამოყენება მეცნიერებაში
- 1.1.21 მათემატიკის გამოყენება მრეწველობასა და საზოგადოებაში

1.2. მატერიის ფუნდამენტური აგებულების ფიზიკა

ნაწილაკთა, ბირთვული, პლაზმური, ატომური, მოლეკულური, აირთა და ოპტიკური ფიზიკა

- 1.2.1 ფუნდამენტურ ურთიერთქმედებათა თეორია
- 1.2.2 ფუნდამენტურ ურთიერთქმედებათა ფენომენოლოგია
- 1.2.3 ნაწილაკთა ექსპერიმენტული ფიზიკა ამაჩქარებლებით
- 1.2.4 ნაწილაკთა ექსპერიმენტული ფიზიკა ამაჩქარებლების გარეშე
- 1.2.5 გრავიტაციულ ურთიერთქმედებათა კლასიკური და კვანტური ფიზიკა
- 1.2.6 ბირთვული, ადრონული და მძიმე იონების ფიზიკა
- 1.2.7 ბირთვული და ნაწილაკთა ასტროფიზიკა
- 1.2.8 აირებისა და პლაზმის ფიზიკა

- 1.2.9 ელექტრომაგნეტიზმი
- 1.2.10 ატომური და მოლეკულური ფიზიკა
- 1.2.11 ულტრაცივი ატომები და მოლეკულები
- 1.2.12 ოპტიკა, არაწრფივი ოპტიკა და ნანოოპტიკა
- 1.2.13 კვანტური ოპტიკა და კვანტური ინფორმაცია
- 1.2.14 ლაზერი, ულტრამოკლე ლაზერები და ლაზერული ფიზიკა
- 1.2.15 თერმოდინამიკა
- 1.2.16 არაწრფივი მოვლენების ფიზიკა
- 1.2.17 მეტროლოგია და გაზომვები
- 1.2.18 წონასწორული და არაწონასწორული სტატისტიკური მექანიკა: მდგრადი მდგომარეობები და დინამიკა

1.3. კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა

სტრუქტურა, ელექტრონული მახასიათებლები, სითხეები, ნანომეცნიერებები

- 1.3.1 მყარი სხეულების სტრუქტურა, ნაერთების ზრდა და თვისებები
- 1.3.2 კონდენსირებულ გარემოთა მექანიკური და აკუსტიკური თვისებები, მესრის დინამიკა
- 1.3.3 კონდენსირებულ გარემოთა ტრანსპორტული თვისებები
- 1.3.4 ნივთიერებების, ზედაპირების, ინტერფეისების, ნანოსტრუქტურების ელექტრონული თვისებები
- 1.3.5 ნახევარგამტარებისა და იზოლატორების ფიზიკური თვისებები
- 1.3.6 მაკროსკოპული კვანტური ფენომენები, როგორიცაა ზეგამტარობა, ზედენადობა, კვანტური ჰოლის ეფექტი
- 1.3.7 სპინტრონიკა
- 1.3.8 მაგნეტიზმი და ძლიერ კორელირებადი სისტემები
- 1.3.9 კონდენსირებული გარემო - სხივთა ურთიერთქმედება (ფოტონები, ელექტრონები, ა.შ.)
- 1.3.10 ნანოფიზიკა, როგორიცაა ნანოელექტრონიკა, ნანოფოტონიკა, ნანომაგნეტიზმი, ნანოელექტრომექანიკა
- 1.3.11 მეზოსკოპიური კვანტური ფიზიკა და მყარი მდგომარეობის კვანტური ტექნოლოგიები
- 1.3.12 მოლეკულური ელექტრონიკა
- 1.3.13 უწყვეტი სისტემების სტრუქტურა და დინამიკა, როგორიცაა რბილი ნივთიერებები (ჟელები, კოლოიდები, თხევადი კრისტალები), გრანულირებული ნივთიერებები, სითხეები, მინები, დეფექტები
- 1.3.14 სითხეების დინამიკა (ფიზიკა)
- 1.3.15 სტატისტიკური ფიზიკა: ფაზური გადასვლები, კონდენსირებული გარემოს სისტემები, რთული სისტემების მოდელები, ინტერდიცისპლინური აპლიკაციები
- 1.3.16 ბიოლოგიური სისტემების ფიზიკა

1.4. ფიზიკური და ანალიზური ქიმია

ანალიზური ქიმია, ქიმიური თეორია, ფიზიკური ქიმია/ქიმიური ფიზიკა

- 1.4.1 ფიზიკური ქიმია
- 1.4.2 სპექტროსკოპული და სპექტრომეტრული ტექნიკა
- 1.4.3 მოლეკულური აგებულება და სტრუქტურა
- 1.4.4 ზედაპირის მეცნიერება და ნანოსტრუქტურები
- 1.4.5 ანალიზური ქიმია

- 1.4.6 ქიმიური ფიზიკა
- 1.4.7 ქიმიური ინსტრუმენტები
- 1.4.8 ელექტროქიმია, ელექტროდიალიზი, მიკროფლუიდები, სენსორები
- 1.4.9 ქიმიური მეთოდების განვითარება
- 1.4.10 ჰეტეროგენული კატალიზი
- 1.4.11 ბიოლოგიური სისტემების ფიზიკური ქიმია
- 1.4.12 ქიმიური რეაქციები: მექანიზმები, დინამიკა, კინეტიკა და კატალიზური რეაქციები
- 1.4.13 თეორიული და გამოთვლითი ქიმია
- 1.4.14 რადიაციული და ბირთვული ქიმია
- 1.4.15 ფოტოქიმია
- 1.4.16 კოროზია
- 1.4.17 მასალათა დახასიათების მეთოდები
- 1.4.18 გარემოს ქიმია

1.5. სინთეზური და ორგანული ქიმია

ახალი მასალები და სინთეზის ახლებური მიდგომები, სტრუქტურულ-თვისებრივი რეაქციები, მყარი სხეულების ქიმია, მოლეკულური აღნაგობა, ორგანული ქიმია

- 1.5.1 მასალათა სტრუქტურული თვისებები
- 1.5.2 მყარი სხეულების ქიმია
- 1.5.3 ზედაპირის მოდიფიცირება
- 1.5.4 თხელი ფირები (ფილმები)
- 1.5.5 იონური სითხეები
- 1.5.6 ახალი მასალები: ოქსიდები, შენადნობები, კომპოზიტები, ორგანულ-არაორგანული ჰიბრიდი, ნანონაწილაკები
- 1.5.7 ბიომასალების სინთეზი
- 1.5.8 ჭკვიანი ნივთიერებების სინთეზი - თვითორგანიზებადი მასალები
- 1.5.9 კოორდინაციული ქიმია
- 1.5.10 კოლოიდური ქიმია
- 1.5.11 ბიოლოგიური ქიმია და ქიმიური ბიოლოგია
- 1.5.12 კონდენსირებული გარემოს ქიმია
- 1.5.13 ჰომოგენური კატალიზი
- 1.5.14 მაკრომოლეკულური ქიმია
- 1.5.15 პოლიმერების ქიმია
- 1.5.16 სუპრამოლეკულური ქიმია
- 1.5.17 ორგანული ქიმია
- 1.5.18 სამედიცინო ქიმია

1.6. კომპიუტერული და საინფორმაციო მეცნიერებები

ინფორმატიკა და საინფორმაციო სისტემები, კომპიუტერული მეცნიერებები, სამეცნიერო გამოთვლები, ინტელექტუალური სისტემები

- 1.6.1 კომპიუტერის არქიტექტურა, ჩაშენებული სისტემები, ოპერაციული სისტემები
- 1.6.2 განაწილებული სისტემები, პარალელური გამოთვლები, სენსორული ქსელები, კიბერფიზიკური სისტემები
- 1.6.3 პროგრამული ინჟინერია, პროგრამირების ენები და სისტემები
- 1.6.4 თეორიული კომპიუტერული მეცნიერება, ფორმალური მეთოდები, ავტომატები
- 1.6.5 უსაფრთხოება, კონფიდენციალობა, კრიპტოლოგია, კვანტური კრიპტოგრაფია

- 1.6.6 ალგორითმები და კომპლექსურობა, განაწილებული, პარალელური და ქსელური ალგორითმები, ალგორითმულ თამაშთა თეორია
- 1.6.7 ხელოვნური ინტელექტი, ინტელექტუალური სისტემები, ბუნებრივი ენის დამუშავება;
- 1.6.8 კომპიუტერული გრაფიკა, კომპიუტერული ხედვა, მულტიმედია, კომპიუტერული თამაშები
- 1.6.9 ადამიანისა და კომპიუტერის ურთიერთობა, ინტერფეისი, ვიზუალიზაცია
- 1.6.10 ვებ და საინფორმაციო სისტემები, მონაცემთა მართვის სისტემები, ინფორმაციის ძიება და ციფრული ბიბლიოთეკები, მონაცემთა შერწყმა
- 1.6.11 მანქანური სწავლება, სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და გამოყენება სიგნალების დამუშავებით (როგორიცაა აუდიო, ფოტო, ვიდეო)
- 1.6.12 სამეცნიერო გამოთვლები, სიმულაციისა და მოდელირების საშუალებები
- 1.6.13 ბიოინფორმატიკა, ბიოინსპირაციული გამოთვლები, ბუნებრივი გამოთვლები
- 1.6.14 კვანტური გამოთვლები (ფორმალური მეთოდები, ალგორითმები და კომპიუტერული მეცნიერების სხვა ასპექტები)

1.7. სისტემური და კომუნიკაციური ინჟინერია

ელექტრონული, ელექტრონული, კომუნიკაციური, ოპტიკური და სისტემური ინჟინერია

- 1.7.1 მართვის ინჟინერია
- 1.7.2 ელექტროინჟინერია: ძალური კომპონენტები ან/და სისტემები
- 1.7.3 სიმულაციური ინჟინერია და მოდელირება
- 1.7.4 მიკრო და ნანო სისტემური ინჟინერია
- 1.7.5 მიკრო და ნანო ელექტრონიკა, ოპტოელექტრონიკა და ფოტონური კომპონენტები
- 1.7.6 კავშირის სისტემები, უსადენო ტექნოლოგია, მაღალსიხშირული ტექნოლოგია
- 1.7.7 სიგნალების დამუშავება
- 1.7.8 ქსელები, როგორიცაა საკომუნიკაციო ქსელები და კვანძები, საგანთა ინტერნეტი, სენსორული ქსელები, რობოტული ქსელები
- 1.7.9 ადამიანი-მანქანა ტიპის ინტერფეისები
- 1.7.10 რობოტიკა
- 1.7.11 კომპონენტები და სისტემები აპლიკაციებისათვის (მაგ. მედიცინაში, ბიოლოგიაში, გარემოს კვლევაში)
- 1.7.12 ელექტროენერგიის წარმოება, განაწილება და გამოყენება

1.8. წარმოებისა და პროცესების ინჟინერია

წარმოებისა და პროცესების დიზაინი, ქიმიური, სამოქალაქო, გარემოს, მექანიკური, სამანქანო ინჟინერია, ენერგო პროცესები და შესაბამისი გამოთვლითი მეთოდები

- 1.8.1 აეროკოსმოსური ინჟინერია
- 1.8.2 ქიმიური ინჟინერია, ტექნიკური ქიმია
- 1.8.3 სამოქალაქო ინჟინერია, არქიტექტურა, საზღვაო კონსტრუქცია, მსუბუქი კონსტრუქცია, გეოტექნიკა
- 1.8.4 გამოთვლითი ინჟინერია
- 1.8.5 ჰიდრომექანიკა
- 1.8.6 ენერგეტიკული პროცესების ინჟინერია
- 1.8.7 მექანიკური ინჟინერია
- 1.8.8 ძრავების ინჟინერია, როგორიცაა ჰიდრავლიკური, ტურბო, დგუშოანი, ჰიბრიდული ძრავები
- 1.8.9 წარმოების ტექნოლოგია, პროცესის ინჟინერია

- 1.8.10 მრეწველობის ინჟინერია და ინდუსტრიული დიზაინი
- 1.8.11 გარემოს ინჟინერია, როგორიცაა მდგრადობის დიზაინი, ნარჩენებისა და წყლის მართვა გადამუშავება, რეგენერაცია ან ნაერთების აღდგენა, ნახშირბადის შებოჭვა და შენახვა
- 1.8.12 საზღვაო ინჟინერია
- 1.8.13 ინდუსტრიული ბიოინჟინერია
- 1.8.14 საავტომობილო და სარკინიგზო ინჟინერია, მულტი/ინტერმოდალური სატრანსპორტო ინჟინერია

1.9. სამყაროს შემსწავლელი მეცნიერებები

ასტროფიზიკა/ქიმია/ბიოლოგია; მზის სისტემა; პლანეტების სისტემები; ვარსკვლავების, გალაქტიკების და გარეგალაქტიკების ასტრონომია; კოსმოლოგია, კოსმოსის შემსწავლელი მეცნიერებები; ასტრონომიული ინსტრუმენტები და მონაცემები

- 1.9.1 მზის ფიზიკა - მზე და ჰელიოსფერო
- 1.9.2 მზის სისტემის შემსწავლელი მეცნიერება
- 1.9.3 ეგზოპლანეტური მეცნიერება, არამზისეული პლანეტების წარმოქმნა და დახასიათება
- 1.9.4 ასტრობიოლოგია
- 1.9.5 ვარსკვლავთშორისი სივრცე და ვარსკვლავების ფორმირება
- 1.9.6 ვარსკვლავები - ვარსკვლავების ფიზიკა და ვარსკვლავთა სისტემები
- 1.9.7 ირმის ნახტომი
- 1.9.8 გალაქტიკები - წარმოშობა, განვითარება, გროვები
- 1.9.9 კოსმოლოგია და მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურა, ბნელი მატერია და ბნელი ენერგია
- 1.9.10 რელატივისტური ასტროფიზიკა და კომპაქტური ობიექტები
- 1.9.11 გრავიტაციული ტალღის ასტრონომია
- 1.9.12 მაღალი ენერგიებისა და ნაწილაკების ასტრონომია
- 1.9.13 ასტრონომიული ინსტრუმენტები და მონაცემები, როგორიცაა ტელესკოპები, დეტექტორები, მოწყობილობები, არქივები, ანალიზური სისტემები

1.10. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

ფიზიკური გეოგრაფია, გეოლოგია, გეოფიზიკა, ატმოსფერული მეცნიერებები, ოკეანოგრაფია, კლიმატოლოგია, კრიოლოგია, ეკოლოგია, გარემოს გლობალური ცვლილება, ბიოგეოქიმიური ციკლები, ბუნებრივი რესურსების მართვა

- 1.10.1 ატმოსფერული ქიმია, ატმოსფერული შემადგენლობა, ჰაერის დაბინძურება
- 1.10.2 მეტეოროლოგია, ატმოსფერული ფიზიკა და დინამიკა
- 1.10.3 კლიმატოლოგია და კლიმატის ცვლილება
- 1.10.4 ხმელეთის ეკოლოგია, მიწის საფარის ცვლილება
- 1.10.5 გეოლოგია, ტექტონიკა, ვულკანოლოგია
- 1.10.6 პალეოკლიმატოლოგია, პალეოეკოლოგია
- 1.10.7 დედამიწის წიაღის ფიზიკა, სეისმოლოგია, გეოდინამიკა
- 1.10.8 ოკეანოგრაფია (ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, გეოლოგიური)
- 1.10.9 ბიოგეოქიმია, ბიოგეოქიმიური ციკლები, გარემოს ქიმია
- 1.10.10 მინერალოგია, პეტროლოგია, მაგმური პეტროლოგია, მეტამორფული პეტროლოგია
- 1.10.11 გეოქიმია, კოსმოქიმია, კრისტალთა ქიმია, იზოტოპების გეოქიმია, თერმოდინამიკა
- 1.10.12 სედიმენტოლოგია, ნიადაგის მეცნიერება, პალეონტოლოგია, დედამიწის ევოლუცია
- 1.10.13 ფიზიკური გეოგრაფია, გეომორფოლოგია

- 1.10.14 დედამიწის დაკვირვება კოსმოსიდან/დისტანციური ზონდირება
- 1.10.15 გეომაგნეტიზმი, პალეომაგნეტიზმი
- 1.10.16 ოზონი, ზედა ატმოსფერო, იონოსფერო
- 1.10.17 ჰიდროლოგია, ჰიდროგეოლოგია, საინჟინრო და გარემოს გეოლოგია, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება
- 1.10.18 კრიოსფერო, თოვლისა და ყინულის საფარის დინამიკა, ზღვის ყინული, მარადმზრალი მიწა და ყინულის ფარები
- 1.10.19 პლანეტარული გეოლოგია და გეოფიზიკა
- 1.10.20 გეოლოგიური კატასტროფები და გეოსაფრთხეები
- 1.10.21 დედამიწის სისტემის მოდელირება და ურთიერთქმედება

1.11. მასალათა ინჟინერია

გაუმჯობესებული მასალების შემუშავება: თვისებების გაძლიერება, მოდელირება, ფართომასშტაბიანი მომზადება, მასალების მოდიფიკაცია, მორგება, ოპტიმიზაცია, მასალების ახლებური და კომბინირებული გამოყენება და ა.შ.

- 1.11.1 ბიომასალების, ბიომიმეტიური, ბიოინსპირაციული და ბიოლოგიური მასალების ინჟინერია
- 1.11.2 ლითონებისა და შენადნობების ინჟინერია
- 1.11.3 კერამიკისა და მინის ინჟინერია
- 1.11.4 პოლიმერების და პლასტმასის ინჟინერია
- 1.11.5 კომპოზიტებისა და ჰიბრიდული მასალების ინჟინერია
- 1.11.6 ნახშირბადის მასალების ინჟინერია
- 1.11.7 ლითონის ოქსიდების ინჟინერია
- 1.11.8 ალტერნატიულად არსებული ან ახალი მასალების ინჟინერია
- 1.11.9 ნანომასალების ინჟინერია, როგორიცაა ნანონაწილაკები, ნანოფორებიანი მასალები, 1D და 2D ნანომასალები
- 1.11.10 რბილი მასალების ინჟინერია, როგორიცაა გელები, ქაფები, კოლოიდები
- 1.11.11 ფოროვანი მასალების ინჟინერია, როგორიცაა კოვალენტურ-ორგანული, ლითონ-ორგანული, ფოროვანი არომატული სტრუქტურები
- 1.11.12 ნახევარგამტარი და მაგნიტური მასალების ინჟინერია
- 1.11.13 მეტამასალების ინჟინერია
- 1.11.14 მასალების ინჟინერიის გამოთვლის მეთოდები

2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები

2.1. მოლეკულური ბიოლოგია, ბიოქიმია, ბიოფიზიკა, სტრუქტურული ბიოლოგია

ყველა ორგანიზმისთვის: მოლეკულური ბიოლოგია, ბიოქიმია, სტრუქტურული ბიოლოგია, მოლეკულური ბიოფიზიკა, სინთეზური და ქიმიური ბიოლოგია, წამლის დიზაინი, ინოვაციური მეთოდები და მოდელირება

- 2.1.1 მაკრომოლეკულური კომპლექსები, მათ შორის ნუკლეინის მჟავების, პროტეინების, ლიპიდების და ნახშირწყლების ურთიერთქმედებები
- 2.1.2 ბიოქიმია
- 2.1.3 დნმ-ისა და რნმ-ის ბიოლოგია
- 2.1.4 პროტეინების ბიოლოგია
- 2.1.5 ლიპიდების ბიოლოგია
- 2.1.6 გლიკობიოლოგია

- 2.1.7 მოლეკულური ბიოფიზიკა, ბიომექანიკა, ბიოენერგეტიკა
- 2.1.8 სტრუქტურული ბიოლოგია
- 2.1.9 სასიგნალო პროცესების მოლეკულური მექანიზმები
- 2.1.10 სინთეზური ბიოლოგია
- 2.1.11 ქიმიური ბიოლოგია
- 2.1.12 პროტეინების დიზაინი
- 2.1.13 ტრანსლაციური კვლევები და წამლის დიზაინი
- 2.1.14 ინოვაციური მეთოდები და მოდელირება მოლეკულურ, სტრუქტურულ და სინთეზურ ბიოლოგიაში

2.2. გენეტიკა, ეპიგენეტიკა, გენომიკა, სხვა ომიკები და ბიოინფორმატიკა

ყველა ორგანიზმისთვის: გენეტიკა, ეპიგენეტიკა, გენომიკა და სხვა ომიკების კვლევები, ბიოინფორმატიკა, სისტემური ბიოლოგია, გენეტიკური დაავადებები, გენების რედაქტირება, ინოვაციური მეთოდები და მოდელირება, ომიკები პერსონალიზებული მედიცინისთვის

- 2.2.1 გენეტიკა
- 2.2.2 გენების რედაქტირება
- 2.2.3 ეპიგენეტიკა
- 2.2.4 გენის რეგულაცია
- 2.2.5 გენომიკა
- 2.2.6 მეტაგენომიკა
- 2.2.7 ტრანსკრიპტომიკა
- 2.2.8 პროტეომიქსი
- 2.2.9 მეტაბოლოგია
- 2.2.10 გლიკომიკა / ლიპიდომიკა
- 2.2.11 ბიოინფორმატიკა და გამოთვლითი ბიოლოგია
- 2.2.12 ბიოსტატისტიკა
- 2.2.13 სისტემების ბიოლოგია
- 2.2.14 გენეტიკური დაავადებები
- 2.2.15 ინტეგრალური ბიოლოგია პერსონალიზებული მედიცინისთვის
- 2.2.16 ინოვაციური მეთოდები და მოდელირება ინტეგრალურ ბიოლოგიაში

2.3. უჯრედული, განვითარებისა და რეგენერაციული ბიოლოგია

ყველა ორგანიზმისთვის: უჯრედის სტრუქტურა და ფუნქცია, უჯრედების კომუნიკაცია, ემბრიოგენეზი, ქსოვილის დიფერენცირება, ორგანოგენეზი, ზრდა, განვითარება, განვითარების ევოლუცია, ორგანოიდები, ღეროვანი უჯრედები, რეგენერაცია, თერაპიული მიდგომები

- 2.3.1 უჯრედის ციკლი, უჯრედის დაყოფა და ზრდა
- 2.3.2 უჯრედის ფიზიოლოგიური დაბერება, უჯრედის სიკვდილი, აპოტოზაზი, უჯრედის დაბერება
- 2.3.3 უჯრედის ქცევა, უჯრედის ფორმის კონტროლი, უჯრედის მიგრაცია
- 2.3.4 უჯრედების შეერთება, უჯრედის ადჰეზია, ექსტრაცელულარული მატრიცა, უჯრედული კომუნიკაცია
- 2.3.5 უჯრედის სიგნალი და სიგნალის ტრანსდუქცია, ეგზოსომის ბიოლოგია
- 2.3.6 ორგანოების ბიოლოგია და გადაადგილება
- 2.3.7 უჯრედების, ქსოვილებისა და ორგანოების მექანობიოლოგია
- 2.3.8 ემბრიოგენეზი, პატერნების ფორმირება, მორფოგენეზი
- 2.3.9 უჯრედების დიფერენციაცია, ქსოვილებისა და ორგანოების ფორმირება
- 2.3.10 განვითარების გენეტიკა

- 2.3.11 განვითარების სტრატეგიების ევოლუცია
- 2.3.12 ორგანოიდები
- 2.3.13 ღეროვანი უჯრედები
- 2.3.14 რეგენერაცია
- 2.3.15 ქსოვილთა რეგენერაციისთვის უჯრედზე დაფუძნებული თერაპიული მიდგომების შემუშავება
- 2.3.16 უჯრედებისა და ქსოვილების ფუნქციური გამოსახვა
- 2.3.17 თეორიული მოდელირება უჯრედულ, განვითარებისა და რეგენერაციულ ბიოლოგიაში

2.4. ჯანმრთელობის, ავადმყოფობისა და დაბერების ფიზიოლოგია

ორგანოების და ქსოვილების ფიზიოლოგია, შედარებითი ფიზიოლოგია, დაბერების ფიზიოლოგია, პათოფიზიოლოგია, ორგანოთაშორისი და ქსოვილოვანი კომუნიკაცია, ენდოკრინოლოგია, კვება, მეტაბოლიზმი, მიკრობიომთან ურთიერთქმედება, არაგადამდები დაავადებები მათ შორის ონკოლოგიური (გარდა ნერვული სისტემის დარღვევებისა და იმუნიტეტთან დაკავშირებული დაავადებებისა)

- 2.4.1 ორგანოების და ქსოვილების ფიზიოლოგია და პათოფიზიოლოგია
- 2.4.2 შედარებითი ფიზიოლოგია
- 2.4.3 დაბერების ფიზიოლოგია
- 2.4.4 ენდოკრინოლოგია
- 2.4.5 ორგანოთაშორისი და ქსოვილოვანი კომუნიკაციის არაჰორმონალური მექანიზმები
- 2.4.6 მიკრობიომა და მასპინძლის ფიზიოლოგია
- 2.4.7 კვება და ვარჯიშის ფიზიოლოგია
- 2.4.8 სტრესის გავლენა ფიზიოლოგიაზე (მათ შორის გარემოს სტრესი)
- 2.4.9 მეტაბოლიზმი და მეტაბოლური დარღვევები, მათ შორის დიაბეტი და სიმსუქნე
- 2.4.10 გულსისხლძარღვთა სისტემა და გულსისხლძარღვთა დაავადებები
- 2.4.11 ჰემატოპოეზი და სისხლის დაავადებები
- 2.4.12 ონკოლოგია
- 2.4.13 სხვა არაგადამდები დაავადებები (გარდა ნერვული სისტემის დარღვევებისა და იმუნიტეტთან დაკავშირებული დაავადებებისა)

2.5. ნეირომეცნიერება და ნერვული სისტემის დარღვევები

ნერვული სისტემების განვითარება, ჰომეოსტაზი და დაბერება, ნერვული სისტემის ფუნქცია და დისფუნქცია, სისტემების ნეირომეცნიერება და მოდელირება, კოგნიტური პროცესებისა და ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები, ნეიროლოგიური და მენტალური დარღვევები

- 2.5.1 ნეირონული უჯრედები
- 2.5.2 გლიალური უჯრედები და ნეირონ-გლიალური კომუნიკაცია
- 2.5.3 ნერვული სისტემის განვითარება და მასთან დაკავშირებული დარღვევები
- 2.5.4 ნერვული ღეროვანი უჯრედები
- 2.5.5 ნერვული ქსელები და პლასტიკურობა
- 2.5.6 ნეიროვასკულური ბიოლოგია და ჰემატოენცეფალური ბარიერი
- 2.5.7 სენსორული სისტემები, შეგრძნება და აღქმა, მათ შორის ტკივილის
- 2.5.8 ქცევის ნერვული საფუძვლები
- 2.5.9 შემეცნების ნერვული საფუძვლები
- 2.5.10 ნერვული სისტემის დაბერება
- 2.5.11 ნევროლოგიური და ნეიროდეგენერაციული დარღვევები
- 2.5.12 მენტალური დარღვევები

- 2.5.13 ნერვული სისტემის დაზიანებები და ტრავმა, ინსულტი
- 2.5.14 ნერვული სისტემის აღდგენა და რეგენერაცია
- 2.5.15 ნეიროიმუნოლოგია, ნეიროანთება
- 2.5.16 სისტემები და გამოთვლითი ნეირომეცნიერება
- 2.5.17 ვიზუალიზაცია ნეირომეცნიერებაში
- 2.5.18 ნეირომეცნიერების ინოვაციური მეთოდები და საშუალებები

2.6. იმუნიტეტი, ინფექცია და იმუნოთერაპია

იმუნური სისტემა, იმუნური დარღვევები და მექანიზმები, ინფექციური აგენტების ბიოლოგია და ინფექციები, ინფექციური დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის ბიოლოგიური საფუძვლები, ინოვაციური იმუნოლოგიური საშუალებები და მიდგომები, მათ შორის თერაპიები

- 2.6.1 თანდაყოლილი იმუნიტეტი
- 2.6.2 ადაპტაციური იმუნიტეტი
- 2.6.3 იმუნური პასუხის რეგულაცია
- 2.6.4 იმუნიტეტთან დაკავშირებული დაავადებები
- 2.6.5 პათოგენების ბიოლოგია (როგორიცაა ბაქტერია, ვირუსები, სოკოები)
- 2.6.6 ინფექციური დაავადებები
- 2.6.7 ინფექციის მექანიზმები
- 2.6.8 ინფექციის პრევენციისა და მკურნალობის ბიოლოგიური საფუძვლები
- 2.6.9 ანტიმიკრობული საშუალებები, ანტიმიკრობული რეზისტენტობა
- 2.6.10 ვაქცინის შექმნა
- 2.6.11 ინოვაციური იმუნოლოგიური საშუალებები და მიდგომები, მათ შორის თერაპიები

2.7. ადამიანის დაავადებების პრევენცია, დიაგნოზი და მკურნალობა

პრევენციის სამედიცინო ტექნოლოგიები და საშუალებები, ადამიანის დაავადებების დიაგნოზი და მკურნალობა, თერაპიული მიდგომები და ინტერვენციები, ფარმაცოლოგია, პრევენციული მედიცინა, ეპიდემიოლოგია და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ციფრული მედიცინა

- 2.7.1 სამედიცინო გამოსახულება დაავადებების პრევენციის, დიაგნოზისა და მონიტორინგისთვის
- 2.7.2 დაავადებების პრევენციის, დიაგნოზის, მონიტორინგისა და მკურნალობის სამედიცინო ტექნოლოგიები და საშუალებები (მათ შორის გენეტიკური საშუალებები და ბიომარკერები)
- 2.7.3 ნანომედიცინა
- 2.7.4 რეგენერაციული მედიცინა
- 2.7.5 გამოყენებითი გენური, უჯრედული და იმუნური თერაპიები
- 2.7.6 სხვა სამედიცინო თერაპიული ინტერვენციები, მათ შორის ტრანსპლანტაცია
- 2.7.7 ფარმაცოლოგია და ტოქსიკოლოგია
- 2.7.8 ინტერვენციების ეფექტურობა, მათ შორის თერაპიული საშუალებების მიმართ რეზისტენტობა
- 2.7.9 საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია
- 2.7.10 პრევენციული და პროგნოზული მედიცინა
- 2.7.11 გარემოს ჰიგიენა, შრომის ჰიგიენა
- 2.7.12 ჯანდაცვა, მათ შორის ასაკოვან მოსახლეობაზე ზრუნვა
- 2.7.13 პალიატიული მედიცინა
- 2.7.14 ციფრული მედიცინა, ელექტრონული მედიცინა, ხელოვნური ინტელექტის სამედიცინო პროგრამები
- 2.7.15 სამედიცინო ეთიკა

2.8. გარემოს ბიოლოგია, ეკოლოგია, ევოლუცია, ბიომრავალფეროვნება

ყველა ორგანიზმისთვის: ეკოლოგია, ბიომრავალფეროვნება, გარემოს ცვლილება, ევოლუციური ბიოლოგია, ქცევითი ეკოლოგია, მიკრობული ეკოლოგია, ზღვის ეკოსისტემის ბიოლოგია, ეკოფიზიოლოგია, თეორიული განვითარება და მოდელირება

- 2.8.1 ეკოსისტემისა და საზოგადოების ეკოლოგია, მაკროეკოლოგია
- 2.8.2 ბიომრავალფეროვნება
- 2.8.3 კონსერვაციული ბიოლოგია
- 2.8.4 პოპულაციური ბიოლოგია, პოპულაციის დინამიკა, პოპულაციის გენეტიკა
- 2.8.5 გარემოს ცვლილების ბიოლოგიური ასპექტები, მათ შორის კლიმატის ცვლილება
- 2.8.6 ევოლუციური ეკოლოგია
- 2.8.7 ევოლუციური გენეტიკა
- 2.8.8 ფილოგენეტიკა, სისტემატიკა, შედარებითი ბიოლოგია
- 2.8.9 მაკროევოლუცია და პალეობიოლოგია
- 2.8.10 ეკოლოგია და სახეობათა ურთიერთქმედების ევოლუცია
- 2.8.11 ქცევითი ეკოლოგია და ევოლუცია
- 2.8.12 მიკრობული ეკოლოგია და ევოლუცია
- 2.8.13 ზღვის ეკოსისტემის ბიოლოგია და ეკოლოგია
- 2.8.14 ეკოფიზიოლოგია, ორგანიზმებიდან ეკოსისტემებამდე
- 2.8.15 თეორიული განვითარება და მოდელირება გარემოს ბიოლოგიაში, ეკოლოგიასა და ევოლუციაში

2.9. ბიოტექნოლოგია და ბიოლოგიური სისტემების ინჟინერია

ბიოტექნოლოგია ყველა ორგანიზმის გამოყენებით, გარემოსა და საკვების ბიოტექნოლოგია, მცენარეთა და ცხოველთა გამოყენებითი მეცნიერებები, ბიოინჟინერია და სინთეზური ბიოლოგია, ბიომასა და ბიოსაწვავი, ბიოლოგიურად საშიში ნივთიერებები

- 2.9.1 სინთეზური და ქიმიური ბიოლოგიის ბიოინჟინერია
- 2.9.2 გამოყენებითი გენეტიკა, გენების რედაქტირება და ტრანსგენული ორგანიზმები
- 2.9.3 უჯრედების, ქსოვილების, ორგანოებისა და ორგანიზმების ბიოინჟინერია
- 2.9.4 მიკრობული ბიოტექნოლოგია და ბიოინჟინერია
- 2.9.5 სურსათის ბიოტექნოლოგია და ბიოინჟინერია
- 2.9.6 ზღვის ეკოსისტემის ბიოტექნოლოგია და ბიოინჟინერია
- 2.9.7 გარემოს ბიოტექნოლოგია და ბიოინჟინერია
- 2.9.8 მცენარეთა გამოყენებითი მეცნიერებები, მცენარეთა ჯიშები, აგროეკოლოგია და ნიადაგის ბიოლოგია
- 2.9.9 მცენარეთა პათოლოგია და მავნებლების რეზისტენტობა
- 2.9.10 ვეტერინარია და ცხოველთა გამოყენებითი მეცნიერებები
- 2.9.11 ბიომასის წარმოება და გამოყენება, ბიოსაწვავი
- 2.9.12 ეკოტოქსიკოლოგია, ბიოლოგიურად საშიში ნივთიერებები და ბიოუსაფრთხოება

3. სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები

3.1. ეკონომიკა, ფინანსები, მენეჯმენტი

ინდივიდები, ბაზრები, ორგანიზაციები

- 3.1.1 მაკროეკონომიკა; მონეტარული ეკონომიკა; ეკონომიკური ზრდა

- 3.1.2 საერთაშორისო ვაჭრობა; საერთაშორისო მენეჯმენტი; საერთაშორისო ბიზნესი; სივრცული ეკონომიკა
- 3.1.3 განვითარების ეკონომიკა; სტრუქტურული ცვლილება; განვითარების პოლიტიკური ეკონომიკა
- 3.1.4 ფინანსები; აქტივების შეფასება; საერთაშორისო ფინანსები; ბაზრის მიკროსტრუქტურა;
- 3.1.5 კორპორაციული ფინანსები; საბანკო და ფინანსური შუამავლობა; ბუღალტერია; აუდიტი; დაზღვევა
- 3.1.6 ეკონომეტრიკა; ოპერაციების კვლევა
- 3.1.7 ქცევითი ეკონომიკა; ექსპერიმენტული ეკონომიკა; ნეიროეკონომიკა
- 3.1.8 მიკროეკონომიკის თეორია; თამაშების თეორია; გადაწყვეტილების თეორია
- 3.1.9 სამრეწველო ორგანიზაცია; ენტრეპრენერშიპი; კვლევა, განვითარება და ინოვაცია
- 3.1.10 მენეჯმენტი, სტრატეგია; ორგანიზაციული ქცევა
- 3.1.11 ადამიანური რესურსების მართვა; ოპერაციების მართვა; მარკეტინგი
- 3.1.12 გარემოს ეკონომიკა; რესურსების და ენერგიის ეკონომიკა; სოფლის მეურნეობის ეკონომიკა
- 3.1.13 შრომისა და დემოგრაფიული ეკონომიკა
- 3.1.14 ჯანდაცვის ეკონომიკა; განათლების ეკონომიკა
- 3.1.15 საჯარო ეკონომიკა; პოლიტიკური ეკონომიკა; სამართალი და ეკონომიკა
- 3.1.16 ეკონომიკური ისტორია; რაოდენობრივი ეკონომიკური ისტორია; ინსტიტუციური ეკონომიკა; ეკონომიკური სისტემები

3.2. პოლიტიკური მეცნიერებები, მმართველობა და სამართალი

ინსტიტუტები, სისტემები, მმართველობა

- 3.2.1 პოლიტიკური სისტემები, მმართველობა
- 3.2.2 დემოკრატიზაცია და სოციალური მოძრაობები
- 3.2.3 კონფლიქტების მოგვარება, ომი, მშვიდობის მშენებლობა, საერთაშორისო სამართალი
- 3.2.4 სამართლის კვლევები, კონსტიტუციები, ადამიანის უფლებები, შედარებითი სამართალი
- 3.2.5 საერთაშორისო ურთიერთობები, გლობალური და ტრანსნაციონალური მმართველობა
- 3.2.6 ჰუმანიტარული დახმარება და განვითარება
- 3.2.7 პოლიტიკისა და სამართლის ფილოსოფია
- 3.2.8 დიდი მონაცემები პოლიტიკისა და სამართლის კვლევებში

3.3. სოციოლოგია, ანთროპოლოგია, განათლების მეცნიერებები, კომუნიკაცია

სოციოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, სოციალური ანთროპოლოგია, განათლების მეცნიერებები, კომუნიკაციის კვლევები

- 3.3.1 სოციალური სტრუქტურა, სოციალური მობილობა, სოციალური ინოვაცია
- 3.3.2 უთანასწორობები, დისკრიმინაცია, განწყობები
- 3.3.3 აგრესია და ძალადობა, ანტისოციალური ქცევა, დანაშაული
- 3.3.4 სოციალური ინტეგრაცია, გარიყვა, პროსოციალური ქცევა
- 3.3.5 დამოკიდებულებები და რწმენები
- 3.3.6 სოციალური გავლენა, ძალაუფლება და ჯგუფური ქცევა
- 3.3.7 ნათესაობა, მრავალფეროვნება და იდენტობები, გენდერი, ინტერეთნიკური ურთიერთობები

- 3.3.8 სოციალური პოლიტიკა, კეთილდღეობა, მუშაობა და დასაქმება
- 3.3.9 სიღარიბე და სიღარიბის დაძლევა
- 3.3.10 რელიგიის კვლევები, რიტუალი, სიმბოლური წარმოდგენა
- 3.3.11 სწავლებისა და სწავლის სოციალური ასპექტები, სასწავლო გეგმების კვლევა, განათლება და საგანმანათლებლო პოლიტიკა
- 3.3.12 კომუნიკაცია და ინფორმაცია, ქსელები, მედია
- 3.3.13 ციფრული სოციალური კვლევა
- 3.3.14 მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სოციალური კვლევა

3.4. ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა, ფილოსოფია

კოგნიტური მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა, თეორიული ფილოსოფია, ლოგიკა

- 3.4.1 ადამიანის განვითარებისა და განათლების კოგნიტური საფუძველი, განვითარების დარღვევები, შედარებითი შემეცნება
- 3.4.2 პიროვნება და სოციალური შემეცნება, ემოცია
- 3.4.3 კლინიკური და ჯანმრთელობის ფსიქოლოგია
- 3.4.4 ნეიროფსიქოლოგია
- 3.4.5 ყურადღება, აღქმა, მოქმედება, ცნობიერება
- 3.4.6 დასწავლა, მეხსიერება, შემეცნება დაბერებისას
- 3.4.7 მსჯელობა, გადაწყვეტილების მიღება, ინტელექტი
- 3.4.8 ენის სწავლა და დამუშავება (პირველადი და მეორეული ენები)
- 3.4.9 თეორიული ლინგვისტიკა, გამოთვლითი ლინგვისტიკა
- 3.4.10 ენის ტიპოლოგია, ისტორიული ლინგვისტიკა
- 3.4.11 პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, ლინგვისტური ანთროპოლოგია, დისკურსის ანალიზი
- 3.4.12 ცნობიერების ფილოსოფია, ენის ფილოსოფია
- 3.4.13 მეცნიერების ფილოსოფია, ეპისტემოლოგია, ლოგიკა

3.5. ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების კვლევები

ლიტერატურის კვლევები, კულტურის კვლევები, ხელოვნების კვლევები, ფილოსოფია

- 3.5.1 კლასიკური, ანტიკური ლიტერატურა და ხელოვნება
- 3.5.2 ლიტერატურის ისტორია და თეორია, შედარებითი ლიტერატურა
- 3.5.3 ფილოლოგია, ტექსტისა და გამოსახულების კვლევა;
- 3.5.4 სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება, კინო, დიზაინი და არქიტექტურა
- 3.5.5 მუსიკა და მუსიკოლოგია, მუსიკის ისტორია
- 3.5.6 ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია, ხელოვნებაზე დაფუძნებული კვლევა
- 3.5.7 მუზეუმები, გამოფენები, კონსერვაცია და რესტავრაცია
- 3.5.8 კულტურის კვლევები, კულტურული იდენტობები და მეხსიერება, კულტურული მემკვიდრეობა
- 3.5.9 მეტაფიზიკა, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, ესთეტიკა
- 3.5.10 ეთიკა და მისი გამოყენება, სოციალური ფილოსოფია
- 3.5.11 ფილოსოფიის ისტორია
- 3.5.12 გამოთვლითი მოდელირება და დიგიტალური ჰუმანიტარია

3.6. არქეოლოგია და ისტორია

კაცობრიობის ისტორიის კვლევები

- 3.6.1 ისტორიოგრაფია, თეორია და მეთოდები ისტორიაში, მათ შორის ციფრული მონაცემების ანალიზი

- 3.6.2 კლასიკური არქეოლოგია, არქეოლოგიის ისტორია, სოციალური არქეოლოგია
- 3.6.3 ზოგადი არქეოლოგია, არქეომეტრია, ლანდშაფტის არქეოლოგია
- 3.6.4 პრეისტორია, პალეოანთროპოლოგია, პალეოდემოგრაფია, პროტოისტორია, ბიოარქეოლოგია
- 3.6.5 პალეოგრაფია და კოდიკოლოგია
- 3.6.6 ანტიკური ისტორია
- 3.6.7 შუა საუკუნეების ისტორია
- 3.6.8 ადრეული თანამედროვე ისტორია
- 3.6.9 ახალი და უახლესი ისტორია
- 3.6.10 კოლონიალური და პოსტ-კოლონიალური ისტორია
- 3.6.11 მსოფლიო ისტორია, ტრანსნაციონალური ისტორია, შედარებითი ისტორია, ტრანსკულტურული ურთიერთობების ისტორია
- 3.6.12 სოციალური და ეკონომიკური ისტორია
- 3.6.13 გენდერის ისტორია, კულტურის ისტორია, კოლექტიური იდენტობების და მეხსიერების ისტორია, რელიგიების ისტორია
- 3.6.14 იდეების ისტორია, ინტელექტუალური ისტორია, ეკონომიკური აზროვნების ისტორია
- 3.6.15 მეცნიერების, მედიცინისა და ტექნოლოგიების ისტორია

3.7. საზოგადოებრივი გეოგრაფია, დემოგრაფია, ტერიტორიული დაგეგმვა

საზოგადოებრივი გეოგრაფია, დემოგრაფია, ჯანმრთელობა, მდგრადი მეცნიერება, ტერიტორიული დაგეგმვა, გეოსაინფორმაციო სისტემები

- 3.7.1 საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია
- 3.7.2 მიგრაცია
- 3.7.3 მოსახლეობის დინამიკა: ოჯახი, ოჯახის წევრები და შობადობა
- 3.7.4 ჯანმრთელობის სოციალური ასპექტები, დაბერება და საზოგადოება
- 3.7.5 მდგრადი მეცნიერებები, გარემო და რესურსები
- 3.7.6 გარემო და კლიმატის ცვლილებები, საზოგადოებრივი გავლენა და პოლიტიკა
- 3.7.7 ქალაქები; ურბანული, რეგიონული და სოფლის კვლევები
- 3.7.8 მიწის გამოყენება და დაგეგმვა
- 3.7.9 ენერგია, ტრანსპორტი და მობილობა
- 3.7.10 გეოსაინფორმაციო სისტემები, სივრცული ანალიზი, დიდი მონაცემები გეოგრაფიულ კვლევებში

4. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

4.1. ქართული ენა, აფხაზური ენა და საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნება

- 4.1.1 ქართული ენა, ქართველური ენები
- 4.1.2 აფხაზური ენა
- 4.1.3 კავკასიური ენები
- 4.1.4 ენობრივი ტექნოლოგიები
- 4.1.5 საქართველოს ენობრივი უმცირესობები
- 4.1.6 ენათმეცნიერების ისტორია

4.2. ქართული ლიტერატურა, ხელოვნება და კულტურა

- 4.2.1 ქართული ლიტერატურა
- 4.2.2 ხელნაწერთმცოდნეობა, ეპიგრაფიკა და სფრაგისტიკა
- 4.2.3 საქართველოს ხუროთმოძღვრება

- 4.2.4 ქართული მხატვრობა, სამოსელი, გამოყენებითი ხელოვნება
- 4.2.5 ქართული ფოლკლორი, მრავალხმიანობა, ქორეოგრაფია
- 4.2.6 ქართული თეატრი და კინო
- 4.2.7 აფხაზური კულტურის კვლევები

4.3. საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია და ეროვნული იდენტობა

- 4.3.1 ქართული ისტორიოგრაფია
- 4.3.2 ცალკეული პერიოდისა და ეპოქის ისტორია
- 4.3.3 არქეოლოგია და არქეომეტრია
- 4.3.4 პალეოგრაფია, კოდიკოლოგია, ნუმიზმატიკა და ჰერალდიკა
- 4.3.5 საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორია
- 4.3.6 ქართული მეცნიერების, მედიცინისა და ტექნოლოგიების ისტორია
- 4.3.7 ეთნოლოგია და ანთროპოლოგია
- 4.3.8 რელიგიები
- 4.3.9 ქართული დიასპორები

4.4. საქართველოს გეოგრაფია და დემოგრაფია

- 4.4.1 საქართველოს გეომორფოლოგია, კლიმატოლოგია, კარტოგრაფია, ლანდშაფტი და ლანდშაფტური დაგეგმარება
- 4.4.2 საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გეოგრაფია
- 4.4.3 საქართველოს ნიადაგები
- 4.4.4 საქართველოს დემოგრაფია

4.5. ქართული მმართველობის სისტემები და საერთაშორისო ურთიერთობები

- 4.5.1 პოლიტიკური სისტემები საქართველოში
- 4.5.2 კონფლიქტები და ომები
- 4.5.3 სოციალური მოძრაობები
- 4.5.4 ქართული სამართლის კვლევები და ადამიანის უფლებები
- 4.5.5 საერთაშორისო ურთიერთობები, ქართული დიპლომატია, საერთაშორისო გავლენები